ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №6/ბ

„...03....." „.....01....." 2013 წ.

თბილისი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1 ერთის მხრივ, **სსიპ „ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი"** (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მარინა მესხის სახით და მეორეს მხრივ **ს/ს „სილქნეტი"** (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მოადგილის კომერციულ დარგში ნუგზარ ჩინჩალაძის სახით.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 შემსყიდველმა განახორციელა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–10[1] მუხლის მე–3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვა, საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, შემსყიდველის ცენტრალური ოფისის და მისი ტერიტორიული ერთეულების (შემდგომში - ფილიალები) და სტრუქტურული ერთეულების - ტრეფინკინგის და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრების (შემდგომში - თავშესაფრები) საჭიროებისათვის სატელეფონო მომსახურების (კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი 64200000 - სატელეფონო მომსახურებები) შესყიდვაზე და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება არაუმეტეს 2270,00 (ორი ათას ორასსამოცდაათი) ლარად (შემდგომში – „ხელშეკრულების ღირებულება").

2.2 ხელშეკრულების 2.1. პუნქტში აღნიშნულ ფასში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი და მოსაკრებელი.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1 შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს შემსყიდველის ცენტრალური ოფისისა და მისი ფილიალების/თავშესაფრების სატელეფონო მომსახურებით უზრუნველყოფა. წინამდებარე ხელშეკრულების დანართი #1-ის და დანართი #2-ის შესაბამისად, რომლებიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3.2 შემსყიდველის ფილიალების/თავშესაფრების ჩამონათვალი და ტელეფონის ნომრები მოცემულია ხელშეკრულების დანართი #1-ში და დანართი #2-ში.

4. მომსახურების გაწევის პირობები და ვადები

4.1 მომსახურების გაწევა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2013 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება კალენდარული თვის განმავლობაში ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

5.2 საანგარიშო თვის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღეში მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს გაწეული მომსახურების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტს და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას დადგენილი წესის მიხედვით.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში.

6.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე საანგარიშსწორებო თვის მომდევნო თვის 25 რიცხვამდე.

6.3 ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების აწაზღაურება იწარმოებს, ხელშეკრულების 5.2. პუნქტში მითითებულ დოკუმენტებისა და ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

7.1.1 უზრუნველყოს შემსყიდველისათვის ხარისხიანი სატელეფონო კავშირი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ განსაზღვრული პარამეტრების დაცვით.

7.1.2 დაიცვას შემსყიდველის პერსონალური ინფორმაცია არასანქცირებული დაშვებისგან.

7.1.3 დროულად მიაწოდოს ინფორმაცია შემსყიდველს მომსახურებასთან დაკავშირებით დაგეგმილი ცვლილების შესახებ.

7.1.4 სატელეფონო კავშირი უზრუნველყოს შეუზღუდავად და უწყვეტად, თუ არ არსებობს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული შეზღუდვის და/ან შეწყვეტის საფუძვლები.

7.1.5 მომსახურების პროცესში გამოვლენილი ნაკლოვანებები აღმოფხვრას წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესების მიხედვით და დაწესებულ ვადებში თუ ნაკლოვანებების აღმოფხვრა უნდა განხორციელდეს სადემარკაციო წერტილიდან მიმწოდებლის მხარეს.

7.1.6 განიხილოს წერილობით შემოსული შემსყიდველის პრეტენზია განცხადების შემოსვლიდან 5 სამუშაო დღის ვადაში და გადასცეს დასაბუთებული წერილობითი პასუხი.

7.1.7 მიაწოდოს შემსყიდველს ინფორმაცია მისი დავალიანების ოდენობის შესახებ.

7.1.8 მისი მიზეზებით გამოწვეული დაზიანებები აღმოფხვრას მაგისტრალური კაბელის დაზიანების შემთხვევაში, შემსყიდველის წერილობითი შეტყობინებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში. თუ აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ დაზიანება არ იქნება აღმოფხვრილი, მიმწოდებელი ვალდებულია მოახდინოს მომსახურების ღირებულების გადაანგარიშება.

7.1.9 შემსყიდველის წერილობითი მიმართვისთანავე, უზრუნველყოს შესაბამისი ცვლილებების (ნომრის გადაფორმება, დროებითი გადაფორმება, ახალი ნომრის დადგმა, ნომრის გადატანა, ნომრის შეზღუდვა) განხორციელება დანართი #1-ით და დანართი #2-ით გათვალისწინებულ ტელეფონის ნომრებთან დაკავშირებით.

7.1.10 შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის შესაბამისად, უზრუნველყოს მის მიერ მითითებულ ნომრებზე შესაბამისი ლიმიტების დაწესება და კონტროლი.

7.1.11 დაიცვას ამ ხელშეკრულებისა და კანონმდებლობის მოთხოვნები.

7.1.12 ხელშეკრულების 4.1. პუნქტში მითითებული ვადის გასვლის შემდეგ შეუწყვიტოს შემსყიდველს მომსახურების გაწევა.

7.1.13 დანართ #1-ში მოცემულ ტელეფონის ნომრებზე შეზღუდოს მობილურ ოპერატორებთან კავშირი.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1 სრულად და დროულად გადაიხადოს მიღებული მომსახურების ღირებულება.

7.2.2 გადაიხადოს სატელეფონო დავალიანება სრულად და დათქმულ ვადებში.

7.2.3 არ მოახდინოს ტელეფონის თვითნებური გადატანა ან არამიზნობრივად დატვირთვა.

7.2.4 არ მოახდინოს არასერთიფიცირებული მოწყობილობების მიერთება სატელეფონო წყვილზე.

7.2.5 დაიცვას ამ ხელშეკრულებისა და კანონმდებლობის მოთხოვნები.

7.2.6 ინფორმირებულობის შემთხვევაში მიმწიდებელს შეატყობინოს მესამე პირების მიერ მიმწოდებლის სატელეფონო ქსელზე არასანქცირებული მიერთების შესახებ.

7.2.7 ინფორმირებულობის შემთხვევაში მიმწოდებლის საკუთრებაში ან თანასაკუთრებაში არსებული საკაბელო ქსელის ხელყოფის თაობაზე, შეატყობინოს კომპეტენტურ ორგანოებს და მიმწოდებლის შესაბამის სერვის ცენტრს.

7.2.8 მიმწოდებლის მიმართვიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში განიხილოს მიმწოდებლის მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2.9 დანართი #1-ით და დანართი #2-ით გათვალისწინებული ტელეფონის ნომრების ცვლილების საჭიროების შემთხვევაში (ნომრის გადაფორმება, დროებითი გადაფორმება, ახალი ნომრის დადგმა, ნომრის გადატანა და სხვა) დაუყოვნებლივ წერილით მიმართოს მიმწოდებელს.

7.2.10 წერილობით წარუდგინოს მიმწოდებელს სატელეფონო ნომრების ნუსხა დადგენილი ლიმიტებით, რომლითაც სარგებლობს შემსყიდველი.

7.2.11 ერთი კვირით ადრე წერილობით აცნობოს მიმწოდებელს სატელეფონო ნომრებისა და ლიმიტების ნუსხაში მოსალოდნელი ცვლილების შესახებ.

8. მხარეთა უფლება

8.1 მიმწოდებელს უფლება აქვს:

8.1.1 შეუზღუდოს შემსყიდველს მომსახურების გაწევა როდესაც:

8.1.1.1 არსებობს ტექნიკური დაზიანება;

8.1.1.2 არ ხდება მიმწოდებლის წარმომადგენლის დაშვება შემსყიდველის კუთვნილ ფართში არსებულ მოწყობილობასთან.

8.1.2 ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული ანაზღაურება.

8.2 შემსყიდველს უფლება აქვს:

8.2.1 აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი

8.2.2 მოითხოვოს დეტალური ამონაბეჭდი მის კუთვნილ სატელეფონო ნომერზე შემოსული და განხორციელებული სატელეფონო ზარების შესახებ შესაბამისი დროის ჩვენებით, ინფორმაცია ფინანსური ურთიერთვალდებულებების შესახებ.

8.2.3 მოითხოვოს ინფორმაცია მომსახურების შესახებ.

9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება,

დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია

წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (გარდა 7.2.9. პუნქტით გათვალისწინებული ცვლილილებებისა) უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.4 7.2.9. პუნქტით გათვალისწინებული ცვლილება საჭიროების შემთხვევაში განხორციელდება წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, მხარეებს შორის დამატებითი შეთანხმების გაფორმების გარეშე.

10.5 თუ შემსყიდველი არ ეთანხმება "მიმწოდებლის" ახალ პირობებს, მას უფლება აქვს შეტყობინების შემდეგ, 7 (შვიდი) დღიანი ვადის დაცვით, მოშალოს წინამდებარე ხელშეკრულება.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1 მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2 ერთი მხარის მიერ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის.

14.1.3 ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 7 (შვიდი) სამუშაო დღის განმავლობაში;

14.1.4 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ინსპექტირების პირობები

15.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი/პირები.

15.2 წინამდებარე ხელშეკრულების 15.1. პუნქტით გათვალისწინებული პირის ფუნქციებია:

15.2.1 გაწეული მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

15.2.2 ინსპექტირების დასკვნის მომზადება და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

15.2.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მიმდინარე წლის 29 მარტის ჩათვლით.

17. განსაკუთრებული პირობები

17.1 ხელშეკრულება შედგენილია 4 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

17.2 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, სამი ეგზემპლარი - შემსყიდველთან.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ ,,ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი”	ს/ს „სილქნეტი”
ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. #144	ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. #95
სახელმწიფო ხაზინა	ს/ს „საქართველოს ბანკი”
კოდი #TRESGE22	კოდი № BAGAGE22
ა/ა # 200122900	ა/ა № GE41BG0000000878415000
ს/კ # 205169592	ს/კ № 204566978
მარინა მესხი	ნუგზარ ჩინჩალაძე
დირექტორი	გენერალური დირექტორის მოადგილე კომერციულ დარგში

დანართი #1

№	სსიპ ,,ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის" სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულები	ტელეფონის ნომერი
1	თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლი	2395686
		2391552
		2391710
		2398463
		2398163
2	თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატი	2606288
		2606241
		2603077
		2606330
		2606507
		2606605
		2602096
3	კოჯრის ბავშვთა სახლი	2239498
4	სენაკის შშმ ბავშვთა სახლი	274440
		274049
5	დუშეთის შშმპ პანსიონატი	222014
		222420
6	ახმეტის ბავშვთა დღის ცენტრი	224311
7	თელავის ბავშვთა სახლი	270399

		272043
8	ქუთაისის ხანდაზმულთა პანსიონატი	254986
9	ცენტრალური აპარატი	2395306
		2395311
		2395315
		2395319
		2395324
		2395326
		2395329
		2395334
		2395342
		2395346
		2395348
		2395350
		2390588
		2390514

ყოველთვიური სააბონენტო გადასახადი და ტარიფები:

- ყოველთვიური სააბონენტო გადასახადი ერთ სატელეფონო ნომერზე (თბილისის მასშტაბით, მათ შორის კოჯრის აბონენტებზე) – 10 (ათი) ლარი
- ყოველთვიური სააბონენტო გადასახადი ერთ სატელეფონო ნომერზე საქართველოს რეგიონებში – 5 (ხუთი) ლარი.
- ზარი შიდა ქსელში უფასო.
- სხვა სატელეფონო კომპანიის ფიქსირებული ქსელის ოპერატორებთან კავშირის ღირებულება 1 წთ. 4 თეთრი.
- ზარი უფასოა ნომრებზე – 011, 022, 033 და 044.

დანართი #2

ოთხი ერთეული უკაბელო ტელეფონის (CDMA) თვიური სააბონენტო გადასახადი და ტარიფები:

No	მომსახურება	თვიური ლიმიტი	მისამართი
322100229	CDMA სატელეფონო ნომერი	30 ლარი	თბილისი, თამარაშვილის ქ. #15ა.
322309903	CDMA სატელეფონო ნომერი	80 ლარი	თბილისი, ქინძმარაულის 1-ლი შესახვ. #1.
322140110	CDMA სატელეფონო ნომერი	80 ლარი	თბილისი, თამარაშვილის ქ. #15ა.
322140220	CDMA სატელეფონო ნომერი	80 ლარი	თბილისი, თამარაშვილის ქ. #15ა.

უკაბელო სატელეფონო მომსახურება:

- ყოველთვიური სააბონენტო ერთ უკაბელო სატელეფონო ნომერზე - 15.00 ლარი, რაც მოიცავს ულიმიტო ადგილობრივ და საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირს სს „სილქნეტის" ქსელში.
- სხვა სატელეფონო კომპანიის ადგილობრივი ფიქსირებული ქსელის ოპერატორებთან კავშირის ღირებულება 1 წუთი - 0.04 ლარი;
- საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირის ღირებულება სხვა სატელეფონო კომპანიის ფიქსირებული ქსელის ოპერატორებთან 1 წუთი – 0.04 ლარი
- მობილურ ოპერატორებთან (მაგთი, ჯეოსელი) კავშირის ღირებულება 1 წუთი – 0.10 ლარი.
- მობილურ ოპერატორებთან (ბილაინი) კავშირის ღირებულება 1 წუთი – 0.15 ლარი.
- ინტერნეტი (1X) 1 წუთი – 0.01 ლარი.

მიმწოდებელმა მომსახურების მიწოდებისას უნდა უზრუნველყოს საინფორმაციო მომსახურებების (08, 09 და სხვა) და შეკვეთით 07-ის მომსახურების შეზღუდვა.

„შემსყიდველი"

სსიპ „ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი"

მარინა მესხი
დირექტორი

„მიმწოდებელი"

ს/ს „სილქნეტი"

ნუგზარ ჩინჩალაძე
გენერალური დირექტორის
მოადგილე კომერციულ დარგში